

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/336563443>

Constitutional Changes in the “Ottoman Georgia” (Emancipation of the Serfs and Denunciation of the Estates in Southern and South-Western Georgia in the 16th – 19th cc.) (in Georg....

Book · October 2019

CITATIONS

0

READS

57

3 authors, including:



Tedo Dundua

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

352 PUBLICATIONS 104 CITATIONS

[SEE PROFILE](#)



Apolon Tabuashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

26 PUBLICATIONS 2 CITATIONS

[SEE PROFILE](#)

თედო ღუნდუა
აპოლონ თაბუაშვილი
გიორგი ჟუჟუნაშვილი

კონსტიტუციური ცვლილებები
„ოსმალოს საქართველოში“
(ბატონყმობის და წოდებრიობის გაუქმება
სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოში XVI-XIX საუკუნეებში)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 2013

1864-1871 წლებში ბატონყმობა გაუქმდა შემდეგ ქართულ პროვინციებში: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი. არც ამ დროს და არც შემდგომ საჭირო არ გამხდარა ბატონყმობის დენონსაცია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეს იმიტომ, რომ ბატონყმობა აქ უკვე გაუქმებული ჩანს ოსმალთა ჰეგემონიის დროს (XVI საუკუნის მიწურულიდან). ეს არის კონკრეტული კვლევის ერთი მხარე.

1917 წელს საქართველოში წოდებრიობა გაუქმდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის ეს იყო წოდებრიობის ხელმეორედ დენონსაცია: პირველად აქ წოდებრიობა გაუქმდა XIX საუკუნის 50-იან წლებში, თანზიმათის ეპოქაში.

სწორედ ამ საკითხებზეა საუბარი წარმოდგენილ ნაშრომში.

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

© თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი
ქუქუნაშვილი, 2013

ISBN 978-9941-10-740-5

შინაარსი

„გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	5
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების შემადგენლობაში შედარებითი ანალიზი	18
დამატება: ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ. ივერია. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 11. 12 მაისი. 1877 წ.	31
<i>Constitutional Changes in the “Ottoman Georgia” (Emancipation of the Serfs and Denunciation of the Estates in the 16th-19th cc.) (Summary)</i>	38
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა . . .	51

„გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

აგროინდუსტრიული პროფილი, ურბანული პრიორიტეტები, ათეულობით მილიონი მოსახლე, მანუფაქტურები, დაქირავებული შრომა, ბაზრები, აკვედუკები, საერთაშორისო ვაჭრობა, ბატონყმური რიგის და წოდებრიობის არარსებობა, სულთნის ძალაუფლების არამემკვიდრეობითი ხასიათი XVII საუკუნიდან, ბიზანტიური სტილი არქიტექტურაში, კონტროლი შავიზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე – ყოველივე ზემოაღნიშნული ოსმალეთის იმპერიის ბიზანტიური მემკვიდრეობაა.¹

კიდევ ერთი სიმპტომატური ბიზანტინიზმია ოსმალურ მეტროპოლისში (რუმელია, ანატოლია) – აგრარული სექტორის მართვის სახელმწიფო სოციალისტური პრინციპი, ბევრად უფრო მოწესრიგებული და პერმანენტული სახით, ვიდრე ეს ადრე იყო.² მი-

¹ S. Runciman. The Fall of Constantinople 1453. Cambridge University Press. 1965. Reprinted 1996, გვ. 158-159; T. Dundua. The Cyclic Dialectics. Tbilisi. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა, არქიტექტურა და სტილის კატეგორია. თბ. 1998, გვ. 4; World Cultures. A Global Mosaics. Textbook. New Jersey. 1999, გვ. 578; თ. დუნდუა. სეკსტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი. თბ. 2003, გვ. 8-10; The Black Sea. A History of Interaction. Teaching Pack. Council of Europe. Gyldendal Undervisning. Oslo. 2004, გვ. 86-106; მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბ. 2007, გვ. 196; თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. I. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. თბ. 2009, გვ. 142-148.

² მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000), გვ. 139-140.

წების ფონდი სახელმწიფო საკუთრებაა. მისი კულტივაციის პროცესი ცენტრალიზებულია. ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, საბაზრო ფასებთან შედარებით, ოდნავ აწეულია სპეციალური სახელმწიფო ელიქტებით ფასების შესახებ. ბიზანტიური დაპირისპირება ინდუსტრიულ ზღვისპირეთსა და ანატოლიის ჰინტერლანდს შორის ინდუსტრიულ და აგრარულ პროდუქტებზე ფასების შეფარდებამ გამოიწვია. ჰეგემონი ზღვისპირეთი აგრარულ სექტორს საბაზროზე უფრო დაბალ ფასებს უწესებდა საბაზრო ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის გზით. ამას შედეგად ანატოლიელების თურქების მხარეზე გადასვლა, გათურქება და ეკონომიკური სისტემის პოლიტიკური თვალსაზრისით ორად გახლეჩვა მოჰყვა.³ ოსმალთა დროს კი ფასები ისეა რეგლამენტირებული, რომ ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების ფონდიდან მომდინარე აგრარულ პროდუქტზე ფასი ოდნავ აწეულია საბაზრო ნორმასთან მიმართებით. ამით კონფლიქტი ზღვისპირეთსა და ჰინტერლანდს შორის მოგვარებულია. დამატებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მანუფაქტურების მრავალრიცხოვნება გეავარაუდებინებს, რომ, განსხვავებით ადრეული ეპოქისაგან, ახლა მეტი ყურადღება დაეთმო საწარმოო საშუალებების წარმოებას.

³ S. Runciman. The Fall of Constantinople 1453, გვ. 27; J. J. Norwich. A Short History of Byzantium. Published in Penguin Books. 1998, გვ. 242-243; თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმასია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი, გვ. 8-10, 17-18.

სახელმწიფო სავარგულებზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მენეჯმენტს უმაღლესი ადმინისტრაცია ახორციელებდა. ადგილზე კი რამდენიმე ათეულ ან ასეულ ნადელზე (ჩიფთლიქზე) ეკონომიკურ კონტროლს ახორციელებდნენ აქედან უპირატესი შემოსავლის მქონენი, და ამიტომაც, სამხედრო ვალდებულნი. ერთი სიფაჰის (მეომრის) სამეურნეო მეურვეობის ქვეშ მყოფ კონკრეტული შემოსავლის მქონე მიწებს თიმარი ერქვა; უფრო მეტ შემოსავალს ზიამეთი იძლეოდა. თიმარიოტები და ზიამები, მილიციის გარდა, სამოქალაქო-ადმინისტრაციულ სამსახურშიც იდგნენ.⁴ თანამდებობრივი წინსვლის შემთხვევაში თიმარის ნაცვლად ზიამეთი ეძლეოდათ. ასევე ჩვეულებრივი პროცედურა იყო, კონკრეტული მიზეზების გამო, თიმარის ან ზიამეთის ჩამორთმევა. მიწას პირადად თავისუფალი რაიათები ამუშავებდნენ. ასეთი იყო ოსმალური აგრარული სისტემა.

ქართული ფეოდალური კონსტიტუცია მონარქიზმის, წოდებრიობის, კერძო საკუთრებისა და ბატონყმური რიგის სინთეზია.⁵ ვიცით, რომ ოსმალობამ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნიდან მიწაზე კერძო საკუთრება მოსპო, ის სახასო სისტემამ შეცვალა. ბევრი ფეოდალური

⁴ S. Runciman. The Fall of Constantinople 1453, გვ. 35; მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ. 1971, გვ. 79.

⁵ იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 1. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1963.

სახლი ამის გამო რეგიონს ტოვებს.⁶ დარჩენილები კი ისლამს იღებენ და ახალი სტატუსით თავიანთ ძველ ქვეყანას მართავენ, de facto ავტონომიას;⁷ ისე, რომ ეკონომიკურადაც ქართლთან კავშირი არ გაწყვეტილა. ამის საფუძველზე მესხები ენას ინარჩუნებენ. ვინაიდან მესხეთს ისევ ჯაყელები და ხიმშიაშვილები მართავენ, ე.ი. de facto წოდებრიობაც შენარჩუნდა. შესაძლოა, de jure წოდებრივი კასტა მესხეთის სახასო მიწების კოლექტიური მომხმარებელი იყო გენეტიურ პერსპექტივაში.

ე.ი. ლოკალური (მესხური) სოციალური კონტრაქტი აბსტრაჰირდა საკანონმდებლო ინიციატივისგან, პრივატული სისტემისგან და, პირობითად, შეინარჩუნა წოდებრიობა. კიდევ ერთი პუნქტი იყო ქართულ ვერბალურ კონსტიტუციაში – კერძოდ, ბატონყმური რიგი. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?!

კონკრეტული ასპექტით საინტერესო ჰიპოთეზის დედუქციური კონსტრუქცია ასეთია: 1828-1829 წლებში რუსეთის ჯარებმა სამცხე-ჯავახეთი დაიკავეს⁸ და მოსპეს ის ბარიერი, რაც შეიძლება ქართლ-კახეთთან ეკონომიკური ურთიერთობისათვის ხელისშემშლელი ყოფილიყო; 1877-1878 წლებში რუსებმა დაიკავეს ერუშეთი, არტაანი და კოლა, შავშეთი და

⁶ მ. სვანიძე. სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 150-155.

⁷ შ. ლომსაძე. სამცხე-საათაბაგო: XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე. თბ. 1975, გვ. 382-383.

⁸ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბ. 2004, გვ. 111-113.

კლარჯეთი, აჭარა, ორივე ტაო.⁹ 1864-1871 წლებში ქართული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ყველგან ეტაპობრივად გაუქმდა ბატონყმობა.¹⁰ ახალციხის მაზრა ამ კუთხით არსად იხსენიება. რატომ? ნუთუ ბატონყმობა იქ ვიღაცამ ადრე უკვე გააუქმა?! არც 1877-1878 წლებში შემოერთებულ ტერიტორიებზე გაუუქმებიათ რუსებს ბატონყმობა.

დასკვნა ერთია – XVI-XVII საუკუნეებში მესხეთის დიდ თემში – გურჯისტანის ვილაიეთში ბატონყმობა ოსმალებმა გააუქმეს. სხვა საკითხია, ეკონომიკური კუთხით რამდენად რენტაბელური შეიძლება ყოფილიყო მმართველი კლასისთვის შემოსავლის და სტიმულის პროცენტული შეკვეცა.

დედუქციური ჰიპოთეზა ინდუქციურადაც უნდა იყოს შემაგრებელი. ვნახოთ, როგორი ვითარებაა ასახული თანადროულ დოკუმენტებში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე“. მისი საწყისი ნაწილი ეთმობა კანონთა წიგნს, *კანუნ-ნამეს*, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია რაიათის სტატუსზე. *კანუნ-ნამეში* აღნიშნულია: „**...უკეთუ ქალი მის მეფლობელობაში მყოფ მიწას** (ე.ი. მიწის ნაკვეთს, რომელსაც ადრე, ალბათ, ქალის მეუღლე ამუშავებდა – ავტ.) **დაუმუშავებელს და ცარიელს არ დატოვებს და ახალ სახელმწიფო დავთარში ჩაწერილი [წესების] მიხედ-**

⁹ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, გვ. 187-191.

¹⁰ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, გვ. 149-154.

ვით იხდის ბეჭრესა და გამოსაღებს, მისგან [მიწების] ჩამორთმევა ნება დართული არ არის, და უკეთეს რეადალან კვდება ვინმე და მას მიწა რჩება, [ეს მიწა] შვილზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა (ე.ი. შვილს შეუძლია მისი დამუშავება – ავტ.). თუ მას შვილი არა ჰყავს, მის ძმაზე არ გადადის; თაფუს¹¹ წესებს დაექვემდებარება. მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ [მიწა] სხვას არ გადაეცემა. კაპის მიწა მისი შვილის შვილზე არ გადადის“.¹² კანუნ-ნამეს აღნიშნული ნაწილი ერთგვარად გვისაბუთებს, რომ რაიათი მიწაზე არ არის იმ სახით მიმაგრებული, როგორც ეს გვხვდება, თუნდაც, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მართალია, კანუნ-ნამეს შემდეგი ნაწილი გაქცეული რაიათების უკან დაბრუნების საკითხს ეხება, მაგრამ აქ სპეციფიკურ მდგომარეობასთან უნდა გვქონდეს საქმე. დოკუმენტში აღნიშნულია: „თუ დავთარში რეგისტრირებული რეადას [ხალხი] დაიფანტება, – დაწესებულია კანონი, რომ ისინი მოყვანილ იქნენ უკანვე და დასახლებულნი თავიანთ ადგილას, ხოლო, უკეთეს ათმა, ან მეტმა წელმა განვლო, უკან გადმოსახლება არ შეიძლება; გამოსაღები მათ გა-

¹¹ თაფუს წესით მიწის გაცემა ნიშნავდა მიწაზე მომუშავის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემთხვევაში ამ მიწის ახალ მუშაკზე გაცემას გადასახადის გადახდის პირობით. თაფუს წესით სიფაჰები მიწას რაიათებს გადასცემდნენ.

¹² გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიაშვილმა. წიგნი II. თბ. 1941, გვ. 1.

დახდებათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.¹³
ჩვენი ვარაუდით, აქ საუბარი უნდა იყოს არა რაია-
თების პირადი გადაადგილების უფლების შეზღუდ-
ვაზე, არამედ ახლად დაპყრობილი ტერიტორიიდან
მოსახლეობის მასობრივი გაქცევის პრევენციაზე. ამ
მოსაზრებას პირდაპირ ეხმაურება *კანუნ-ნამეშივე*
შეტანილი ის პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ახ-
ლად მოსული რაიათი სოფელში დასახლების და
სამი წლის ცხოვრების შემდგომ ადგილობრივი თი-
მარიოტის დაქვემდებარებაში გადადის – „...*თუ სხვა
რეადადან მოვა ვინმე, რომელიმე სოფელში და-
სახლდება და იცხოვრებს [იქ] 3 წელიწადს ისე, რომ
ვინმეზე არ იქნება მიწერილი, ის თიმარის მფლობე-
ლის (უფრო ზუსტად, მოსარგებლის, ე.ი. სიფაჰის –
ავტ.) ისეთივე რეადა ხდება, როგორც სხვები. არავის
ემინთავან და არც სხვას ვისმე ხელი არ აქვს [ამ
საქმეში] და მას ნუ მოსთხოვენ გამოსაღებს იმ
მიზეზით რომ ის მოსულიაო. [აქ] საზღვარია [და]
ხალხის ჩასახლებაა საჭირო...“.¹⁴*

ჩილდირის ვილაიეთის (ახალციხის საფაშო)
მკვიდრი რაიათები პირადი თავისუფლებით რომ
სარგებლობდნენ და მხოლოდ საგადასახადო სისტე-
მაზე, და არა მიწაზე, იყვნენ მიმაგრებულნი, ამ
ფაქტს ადასტურებს *კანუნ-ნამეს* შემდეგი პუნქტები:
*„რაიდეეთის შვილი არის რაიდეეთი, სანამდის ის
სხვას არაა მიწერილი. თუ რეადა თავის სახნაგ-სა-*

¹³ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 1.

¹⁴ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 5-6.

თესად გამოსადეგ მიწას არ დაამუშავებს და სხვა სიფაჰის მიწის დასამუშავებლად წავა, ამ შემთხვევაში დაკანონებულია ასეთებისაგან ორი ყუშურის აღება [ხსენებული გარემოების] დადასტურების შემდეგ. ხოლო თუ ის თავისი მიწის დამუშავების შემდეგ დაამუშავებს კიდევ სხვა სიფაჰის მიწას, (მაშინ) ორი ყუშურის გადახდა უქმდება.

...თუ [ვინმე] გარეშე რაიძეთი მოვა და თაფუს საფუძველზე სიფაჰის // მიწას დახნავს და დათესავს, მაშინ [დაწესებული] ბეჭრეს გადახდის შემდეგ აიღება ორი ღონუმი უკეთესი ადგილიდან ერთი ახჩა, ხოლო სამი ღონუმი უარესი ადგილიდან [აგრეთვე] ერთი ახჩა. ღონუმი სიგრძითა და სიგანით 40 ნაბიჯი მიწაა, ჩვეულებრივი ნაბიჯით. [ამაზე] მეტი ან ნაკლები არ უნდა იქნეს მიღებული. დაკანონებულია, რომ სახნავ-სათესად გამოსადეგი რეადას ის მიწა, რომელსაც [რეადა] სამ წელიწადს ზედიზედ უმიზეზოდ დაუმუშავებულს და ცარიელს დასტოვებს, ჩამოერთვას მას და გადაეცეს სხვას, თაფუს საფუძველზე.

...თუ გარეშე ვინმე მოვა და სიფაჰის თიმარზე გაიზამთრებს, მაშინ, თუ ის ცოლშვილიანია, მას გადახდეს გაზამთრების გამოსაღები – 6 ახჩა, ხოლო თუ ის მარტოხელაა, მაგრამ კერა აქვს, მაშინ გადახდეს საკვამლე გამოსაღები – 3 ახჩა. // თუ კი ის მიწას დახნავს და დათესავს და მიწის გამოსაღებს გადაიხდის, მაშინ გაზამთრების გამოსაღებს ის აღარ იხდის. მოზამთრეები სამი წლის განმავლობაში იხდიან გაზამთრების გამოსაღებს; ხოლო თუ

გაზამთრებაში დააყოვნდებათ 3 წელზე მეტი, მაშინ თავის სიფაჰის უნდა მისცენ გამოსაღები ბენაქი – 18 ახჩა. თუ გარეშე რეადა, რომელიც სხვა სიფაჰიზე არაა მიწერილი, მოვა და იცხოვრებს სიფაჰის თიმარზე, მან დაწესებული გამოსაღები უნდა მისცეს თიმარის მფლობელს. სხვას ხელი არა აქვს ამაში...“¹⁵

როგორც ვხედავთ, ახალციხის საფაშოს მკვიდრ რაიათებს გადაადგილების და სხვა სიფაჰზე (თიმარიოტზე) მიწერის ანუ ადგილმონაცვლეობის უფლება აქვთ, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ რაიათი სამი წლის მანძილზე მიწას არ დაამუშავებს, მას ეს მიწა ჩამოერთმევა და, რა თქმა უნდა, ამის შემდგომ ის, საკუთარი სურვილისამებრ, განაგრძობს ცხოვრებას. ყოველივე ეს კი მესხეთში მცხოვრებ ქართველ მიწათმოქმედთა პიროვნულ თავისუფლებაზე მეტყველებს.

მესხეთში მცხოვრები რაიათები სახელმწიფოს (სულთნის) საკუთრებაში მყოფ მიწებს ამუშავებდნენ; აქედან სახელმწიფოს წილი მნიშვნელოვანი იყო (მოსავლის ერთ მეხუთედი – „ხუმსი“), რომელიც ხელფასის სახით ეძლეოდათ სამხედრო პირებს (სიფაჰებს). რაიათები იხდიდნენ სულადობრივ 25 ახჩას. სიფაჰები თიმარებისა და ზიამეთების მოსარგებლენი იყვნენ.¹⁶ ახალციხის საფაშოში მცხოვრები რაიათე-

¹⁵ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 1-2.

¹⁶ ოსმალური ფორმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის. XVI-XVIII საუკუნეები. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავალით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა

ბის პიროვნულ თავისუფლებაზე მეტყველებს აგრეთვე 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ და 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედარებაც. 1595 წლის დავთარში რაიათები მიწერილნი არიან იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე, სადაც მიწას ამუშავებენ. აქ არსად ჩანს მათი პიროვნული დამოკიდებულება. ასე მაგ., „სოფელი შურდო ექვემდებარება მზვარეს [რ-ნს]. იორდანეს შვილიშვილი, მერებ[ა] ძე მისი...“.¹⁷ რაც შეეხება 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარს“, აქ განსხვავებული მდგომარეობაა – ოსმალები ამ შემთხვევაში ქართულ ფეოდალურ სისტემას არ შეხებიან და, შესაბამისად, დავთარში რაიათები შეყვანილია თავიანთ მებატონეებთან ერთად. მაგ. – „სოფელი ახმაჯი ექვემდებარება ამილახვარს. დათუნა ძე დიმიტრისი ... ჭალა ამილახვრის შვილის გივის მფლობელობაში, ექვემდებარება ხსენებულს...“.¹⁸

აღსანიშნავია, რომ მესხეთის ზოგიერთ ნაწილში ოსმალების ხელისუფლებამ რიგი სანჯაყებისა იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით გასცა, რაც ჩილდირის ვილაიეთში თითქოს მიწის მემკვიდრეობით საკუთრებაში ქონებას ნიშნავდა. ასეთი კატეგორიის მიწები, თავის მხრივ, დავთარში არ ტარ-

6. შენგელიამ. თბ. 2011.

¹⁷ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 35.

¹⁸ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბ. 2009, გვ. 407.

დებოდა.¹⁹ აღნიშნულ რაიონებში კი, შესაძლოა, რაიათები მემკვიდრეობით მფლობელებზე დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ, თუმცა ასეთი მიწების ფონდი ოსმალების მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების უმცირესობას წარმოადგენდა. თანაც დროთა განმავლობაშიც აქაც ტიპური ოსმალური მიწაზე საკუთრების წესი მკვიდრდებოდა.

როგორც ვხედავთ, მესხეთის მიწათმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი XVI-XVIII საუკუნეებში პირადი თავისუფლებით სარგებლობდა და „მიბმული“ იყო თიმარულ სისტემაზე. მიწის დამუშავების შემთხვევაში მათ მიერ სახელმწიფო მიწაზე მოყვანილი მოსავლის 1/5 ნაწილი სამხედრო პირებს, სიფაჰებს, ხელფასის სახით ეძლეოდა. ამავე დროს, ოსმალეთის ხელისუფლება „რეადას ხალხის დაფანტვას“ ანუ რეგიონიდან მასობრივ გაქცევას კრძალავდა.

1829 წელს რუსეთის არმიამ ახალციხისა და ახალქალაქის მხარეები დაიკავა. მათ ოსმალური საგადასახადო სისტემა დროებით უცვლელად დატოვეს. ჩანს, ისინი არ შეხებიან არც მიწათმოქმედთა სტატუსს. უბრალოდ, მიწების დიდი ნაწილი სახაზინო საკუთრებად გამოაცხადეს.²⁰ ადგილობრივ გამუსლიმებულ ქართულ წოდებრივ ელიტას (ბეგებს) სო-

¹⁹ იხ.: მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., გვ. 312-313.

²⁰ X. A. Вермишев. Экономический быт государственных крестьян Ахалцихского и Ахалкалакского уездов. Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края. Т. III. Ч. II. Тиф. 1886, გვ. 165.

ციალური პრივილეგიები, გარკვეულწილად, შეუნარჩუნეს. 1870-იან წლებში კი ისინი რუსეთის თავადაზნაურობას გაუთანაბრეს.²¹

XIX საუკუნის 30-იან წლებში ოსმალეთში თიმარული სისტემა მოისპო. რაიათების ეკონომიკურ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. სახელმწიფო კონკრეტულ შემოსავალს კონკრეტული ნადელიდან მაინც იღებდა.²² 1877-1878 წლებში რუსებმა დაიკავეს ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი: ერუშეთი, არტაანი, კოლა, შავშეთი, აჭარა, კლარჯეთი, ამიერ და იმიერ ტაო.²³ ამ დროისათვის რუსეთის მთელი იმპერიის მასშტაბით დიდი ხნის დასრულებული იყო საგლეხო რეფორმა. ცხადია, რუსეთის ხელისუფლება ბატონყმური სისტემის არსებობას ამ მხარეებში არ დაუშვებდა. აღნიშნულ შემთხვევაშიც, რუსეთის მთავრობას აქ თითქმის არაფერი შეუცვლია. ადგილზე ბატონყმობის ლიკვიდაცია საჭირო არ გამხდარა. რუსეთის იმპერატორმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ოსმალური კანონი მიწების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის შესახებ და ახლად შემოერთებული ტერიტორიების მიწების ფონდი სახაზინო საკუთრებად გამოაცხადა. მოსახლეობას კი მიწის იგივე ნაკვეთები დაუტოვეს დასამუშავებლად.²⁴ საბოლოოდ, XIX საუკუნის ბოლოს ბათუმი-

²¹ შ. ლომსაძე. სამცხე-საათაბაგო..., გვ. 445.

²² მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000), გვ. 290.

²³ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, გვ. 187-191.

²⁴ ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი,

სა და ართვინის ოკრუგებში მიწათმოქმედებს საკუთრებაში გადაეცათ მიწის მცირე ნაწილი, უმეტესი ფონდისა კი ხაზინის საკუთრებად დარჩა.²⁵

საერთო ჯამში, მივიღეთ შემდეგი სურათი: საქართველოს ეკონომიკური სისტემის 1/3 ნაწილში ბატონობა უფრო ადრე გაუქმდა, ვიდრე, ვთქვათ, პოლონეთში (ნაპოლეონის მიერ), პრუსიასა (1806 წ.) და რუსეთში (1861 წ.); ეს ფაქტი, თავისთავად, ძალზედ სიმპტომატურია.

დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბ. 2008, გვ. 169.

²⁵ ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გვ. 170.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების შემადგენლობაში – შედარებითი ანალიზი

XIX საუკუნის 70-იან წლებში და შემდგომაც ოს-
მალეთის და რუსეთის იმპერიებს გააჩნდა რამდენიმე
საერთო მახასიათებელი:

- 1) ბიზანტინიზმი; ორივე იმპერია თავს რომეების სა-
მეფოს მემკვიდრედ, ანუ აღმოსავლეთ ევროპის ჰე-
გემონად მიიჩნევს. პირველი, ამ ასპექტით, დეკა-
დანსის გზაზეა, მეორე – სასურველი პროტექტო-
რია;
- 2) კონტინენტური იმპერიალიზმი; ეს მრავალეროვანი
იმპერიები ევროპას და აზიას აერთიანებს, აღნიშ-
ნულ სისტემებში ევროპული და აზიური პროვინ-
ციები სხვადასხვა სტატუსით სარგებლობს. აზიე-
ლებს, ამ კუთხით, არ სწყალობენ;
- 3) მეტროპოლისების (აღმოსავლეთ თრაკია და ანა-
ტოლია, ერთი მხრივ, და საკუთრივ რუსეთი, მეო-
რე მხრივ) აგროინდუსტრიული ტიპი;
- 4) ორივეგან სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი
ხვედრითი წილი (განსაკუთრებით, რუსულ ინდუს-
ტრიაში);
- 5) მოდერნიზაციისაკენ ზომიერი სწრაფვა.

განსხვავებები კი ასეთია:

- 1) არამემკვიდრეობითი ავტოკრატია ოსმალეთში, და მემკვიდრეობითი მონარქია რუსეთში;
- 2) წოდებრიობის არარსებობა ოსმალთა იმპერიაში; რუსეთის იმპერიაში, პრაქტიკულად ყველგან, წოდებრიობაა;
- 3) კოსმოპოლიტიზმი ოსმალთა იმპერიის ცენტრში და ლოკალური კადრების მცირე ადმინისტრაციული პრიმატი პროვინციებში რუს თავადაზნაურთა პოლიტიკური ჰეგემონიის საპირისპიროდ რუსეთის მთელი იმპერიის ფარგლებში;
- 4) ისლამი ერთგან, მართლმადიდებელი ქრისტიანობა კი სხვაგან, როგორც დიფერენტი ადმინისტრაციული ფავორიტიზმისთვის.

ქალაქები, არდაგანი და ართვინი, ოლთუ და იუსუფელი, მიმდებარე მხარეებითურთ, დღეს ქართულ-თურქული მრავალმხრივი ურთიერთობების ხილია. აქაური ეკონომიკურად აქტიური ელემენტი ამ სერვისში აქტიურად არის ჩართული; მისი სოციალური ენა თურქულია, საოჯახო – ქართული. აქ არსებული ქართული არქიტექტურული ძეგლები მალე თურქეთის მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდება. რაციონალური ურთიერთქმედებისთვის კი აუცილებელია ისტორიის ცოდნა.

XVI საუკუნეში ოსმალებს ქართული სამთავროს, სამცხე-საათაბაგოს, ინკორპორაციისკენ უბიძგა სეფიანებთან დაპირისპირებამ და სურვილმა, შეექმნათ ბუფერი საკუთარი ანატოლიური სამფლობელოებისთვის. ამიერიდან ქართველი ფეოდალები,

როგორც სულთნის ზაიმები და თიმარიოტები, სახელმწიფო მიწით სარგებლობენ და ოსმალთა კარიბჭესაც იცავენ. ეს de facto ავტონომია – ჩილდირის ვილაიეთი – დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური კონტაქტების წყალობით, ქართულ ენას ინარჩუნებდა.²⁶

სოციალურმა პრივილეგიამ თავისი ქნა და 1828 წლის 15 აგვისტოს ახალციხესთან მებრძოლ რუსულ არმიას ქართველთა ნაწილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია.²⁷ ძირითად საქართველოსთან გაერთიანება ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ რუსეთს ხომ თიმარიოტები არ სჭირდებოდა?! სად იყო გარანტია იმისა, რომ ქართველ თიმარიოტებს მათ სარგებლობაში მყოფ მიწებს საკუთრებად დაუმტკიცებდნენ. ამ ხალხს საჯარო ხელისუფლებას ხომ ისედაც ჩა-

²⁶ თ. დუნდუა, ა. თაბუაშვილი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა. თბ. 2012, გვ. 134-141.

²⁷ ოფიციალური წყაროები გვატყობინებს, რომ ახალქალაქის, ახალციხის და აწყურის ციხეების აღებისას რუსეთის ჯარს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა (ახალქალაქის დამცველები თავიანთ ძლიერებას ასეთი ფრაზით გამოხატავდნენ – „ერთი ყარსელი სამ ერევენს სჯობს, ხოლო ორი ყარსელი ერთი ახალქალაქელის ფასი არ არის“; ახალციხელები კი ამბობდნენ – „მთვარე ჯერ ციდან ჩამოსხენით, და მერე – ახალციხის მეწყითდან“). ამ ციხეების გარნიზონებმა კატეგორიული უარი განაცხადეს დანებებაზე და სამეკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს. იხ. Утверждение русского владычества на Кавказе. Т. 4. Ч. 2. Под ред. генерал-майора В. Потто. Время Паскевича. Турецкая война. 1828-1829 годы. Тиф. 1908, გვ. 59, 86.

მოაცილებდნენ. ეს რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებელი რუსების პრივილეგია იყო.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ჩილდირის ვილაიეთის ორი ქართული პროვინცია – სამცხე და ჯავახეთი დაიკავა. თიმარიოტთა ნაწილმა მიწა მამულად მიიღო, პოლიტიკურად კი – პასიურნი გახდნენ. ისინი კი, ვინც სახასო მიწებს ამუშავებდნენ, კვლავაც იმავე სტატუსს ინარჩუნებენ.²⁸ ამ მხარეების სამრეწველო-სავაჭრო პოტენციალი მძლავრი არ იყო; შესაბამისი კლასიც, პოლიტიკური ასპექტით, გაუფორმებელია. ამ მიზეზების გამო, ქართველ მუსლიმთა ნაწილმა ქვეყანა დატოვა. ზოგადად, მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიული ეკონომიკური სისტემის რესტავრაცია, რაც, უდავოდ, ყველა ასპექტით დადებითი იყო.

არტაანის/არდაგანის ციხის დაკავება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის ერთი ეპიზოდია. აქ ქართველებმა, აშკარად, იომეს რუსეთის არმიის წინააღმდეგ.²⁹ ეს იყო და ეს. სხვა მხრივ, ადგილობ-

²⁸ თ. დუნდუა, ა. თაბუაშვილი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გვ. 139-140.

²⁹ რუსულ სამხედრო კორესპონდენციაში საუბარია არდაგანიდან გასულ მოწინააღმდეგეზე, სულ 5000 კაცზე, რომლებიც შავშეთში მოძრაობდნენ. აქ ფაშას და მეომრებს შორის უთანხმოება მომხდარა, ამის გამო, 700 კაცის გარდა, ყველანი სახლებში დაბრუნდნენ. ე.ი. ეს ადგილობრივი მილიცია ყოფილა. იხ. Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. 1. СПб. 1904, გვ. 337. სამხედრო კორესპონდენციაშივე საუბარია არტანუჯში რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად სა-

რივი მოსახლეობა კონკრეტულ ტერიტორიაზე მიმდინარე მძაფრი მოვლენების ინერტული მაყურებელი იყო.

რა მოხდა მაინც ასეთი ოსმალთა იმპერიაში XIX ს. შუა ხანებისთვის, რამაც ქართველ მუსლიმთა პასიურობა განაპირობა?!

1878 წლამდეც საქონელბრუნვა სამუსლიმო და ძირითად საქართველოს შორის მნიშვნელოვანი იყო. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ აქაური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება იმდენად აღემატებოდა ადგილობრივ მოთხოვნებს, რომ მისი დიდი ნაწილი ჩრდილოეთით იყიდებოდა, და ეს ყველაფერი თურქთა მმართველობის დროს ხდებოდა.³⁰ ჭანებსაც კი 1877 წლისთვის „...დიდი მისვლამოსვლა აქვთ, როგორც აჭარისაკენ, აგრეთვე გურიას, ქართლს და თვით ტიფლისშიაც“.³¹ ეკონომიკური ლოგიკა მის ინტენსიფიკაციას მოითხოვდა სრული ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით. მუსლიმ ქართველთა ინდიფერენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

1878 წელს ბათუმის, ართვინის და არტაანის³² მხარეები უამრავმა ნატურალურმა თურქმა/ოსმალო

ხალხო ლაშქრის შეკრებაზე. იხ. Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. 1, გვ. 360.

³⁰ С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2. Тиф. 1907, გვ. 260.

³¹ ი. ჭავჭავაძე. ოსმალთა საქართველო. „ივერია“. №8. 21 აპრილი. 1877, გვ. 11.

³² რუსეთის მიერ დაკავებული, ქართველებით დასახლებული, ტე-

ყოფილმა ჩინოვნიკმა დატოვა.³³ ე.ი. ადმინისტრაცია ცოტა ხნით ადრე სწორედ მათგან კომპლექტდებოდა. მუსლიმ ქართველთა ინდიფერენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

XIX ს. 30-იან წლებში სულთანმა თიმარული სისტემა გააუქმა. თიმარიოტებს მიწის სანაცვლოდ პენსია დაენიშნათ, თუმცა მათ შეეძლოთ ადრე მათსავე სარგებლობაში მყოფი თიმარი მემკვიდრეობითი მულქის (მამულის) სახით შეეძინათ. ამიერიდან აქედან შემოსულ გადასახადებს რეგულარული არმია უნდა შეენახა.³⁴ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XIX ს. II ნახ. და უფრო გვიან, უკვე რუსი იმპერატორის ქვეშევრდომი ბეგებიდან მხოლოდ ხიმშიაშვი-

რიტორიები ორ ოლქში (область) გადანაწილდა: ყარსის და ბათუმის. იხ. С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, გვ. 256, 258, 260; ექვ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი. 1938, გვ. 3. ყარსის ოლქში შევიდა შემდეგი ქართული ისტორიული პროვინციები – ორივე ტაო, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ფოცხოვი (С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, გვ. 261; ექვ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 3; Ведомость о количестве коренного населения Карсской области в 1904 году. Памятная книжка и адрес-календарь Карсской области на 1906 годъ. Карсь. 1906 г. №1). ბათუმის ოლქში შევიდა შემდეგი ქართული ისტორიული პროვინციები – აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი (С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, გვ. 260).

³³ გვაქვს პირდაპირი მინიშნება ქალაქ ყარსიდან თურქი ყოფილი ჩინოვნიკების ევაკუაციაზე. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1438. ან. 1. ბ. ესაძის მიერ შეგროვებული მასალებიდან. საქმე 712. ემიგრაცია და მიგრაცია ყარსის ოლქში (რუსულ ენაზე). ფურ. 3.

რატომ არ უნდა გავრცელებდეს ეს მოღველი მთელ ოლქზე?!

³⁴ მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000 წწ.), გვ. 289-290, 313.

ლები და კიდევ ერთი თუ ორი იხსენიება³⁵, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ქართველი თიმარიოტები მუღჯის გარეშე დარჩნენ, რუსებმა კი ზოგიერთ მათგანს, ვინც პენსიას იღებდა, მამულები უბოძეს.³⁶ ოსმალთა მიერ პროვინციებში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დანერგვამ ადგილობრივი ელიტა ასევე აზარალა – მან ადმინისტრირების პრივილეგიაც დაკარგა. აი, რას წერს გაზეთი „ივერია“ ყოველივე ამასთან დაკავშირებით: „...ხვანთქრის მმართველობამ ახლა ბეგებზე მოიცალა. 1856 წელს ოსმალთს საქართველოს თავად აზნაურთა (ბეგების) თავკაცები სტამბოლს დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ მმართველობას უნდაო საგვარეულო სიგელები და ფარმანები გაშინჯოსო და ახალი წესის დაგვართ ახალის ფარმანებით შესცვალოსო. ბეგებმა სიხარულით აიღეს მამა-პაპის ქაღალდები, საქართველოს მეფეების ბოძებული წერილები და ხვანთქრების ან შაჰების ფარმანები და წარუდგინეს. მოელოდნენ ხვანთქრის წყალობას. ოსმალთს მმართველობამ რა კი ეს წერილები გამოსტყუა და თავის

³⁵ ექვ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 17. აღწერს რა ყარსის ოღჯის ოლთისის ოკრუგის მოსახლეობას, ექვ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ აქაურთა უმრავლესობა მუსლიმი ქართველია, ბეგები კი ეკუთვნოდნენ ხიმშიაშვილის გვარეულობას (ერთ-ერთი მათგანი ადგილობრივი მილიციის წევრია).

³⁶ მაგ. ბათუმის ოკრუგში 345594 დესეტინა მიწიდან დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრება იყო, მხოლოდ 13500 დესეტინაა კერძო საკუთრებაში. იხ. აღ. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ს. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე. ო. ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გვ. 170.

არხივებში დაჰკეტა, გამოაცხადა თენზიმათის შესანიშნავი სიტყვები: „ყოველი ქვეშევრდომი იმპერიისა, თანაბრათ უნდა სწევდეს ხარჯსა რაც უნდა წოდებისა და სარწმუნოებისა იყოს.“³⁷ „როდესაც ოსმალოს მმართველობამ თენზიმათი გამოაცხადა, რომ ყოველი ქვეშევრდომი ხვანთქრისა თანაბრათ მოხარკენი არიანო, ამ დროიდან მოისპო აზნაურთა უფლება. ბეგებს პენცია მიეცათ და აზნაურნი გათანასწორდნენ გლეხებთან.“³⁸ მუსლიმ ქართველთა ინდიფერენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

მოდით, ვნახოთ, რა მიიღეს მუსლიმმა ქართველებმა რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შედეგად:


1. ბეგებმა – ცოტა მიწა და ადგილობრივ მილიციაში გაწვევრიანების საშუალება;
2. აგრარული ტიპის მწარმოებელმა – იგივე სტატუსი სახელმწიფო მიწებზე;
3. ხოლო ქართველებმა ზოგადად – დანარჩენი ქართველები.


³⁷ პეტრე უმიკაშვილი. ოსმალოს საქართველო. აჭარა. „ივერია“. №13. 26 მაისი. 1877, გვ. 14.

³⁸ პეტრე უმიკაშვილი. ოსმალოს საქართველო. შავშეთი. „ივერია“. №18. 30 ივნისი. 1877, გვ. 9.


რუკები

თანამედროვე საქართველო და თურქეთი





ჩილდრის ვილაიეთი
ოსმალეთის იმპერიაში



დამატება

ივერია, №11

წელიწადი პირველი, 12 მაისი, 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ზოგიერთი რამ

ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე,
ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ.

III

ოსმალის საქართველო ანუ მესხეთი

